სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება № 14

ქ.თბილისი

04.09.2017 წ.

ერთი მხრივ, **ერედვის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების რეაბილიტაციისა და მომსახურების სააგენტო (ს/კ 404486953),** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის როლანდ ბერუაშვილის (პ/ნ 59002004627) სახით, ხოლო მეორე მხრივ, **შპს „ახალი ნათება"** (ს/კ 202066156), (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის თემური არდოტელის (პ/ნ 16001001018) სახით, ვხელმძღვანელობთ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, გამარტივებული შესყიდვის გამოყენებით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების შესაბამისად, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, „შემსყიდველის" ხარჯით უზრუნველყოს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. საგურამოს დევნილთა დასახლებისთვის 10 ცალი ეკო-ნათურის (ეკონათ. TORNADO/TWISTER T3 23W/E27 WW 827 PHILIPS 8727900925944 (1930)(8241)(7176)) მიწოდება;

1.2 შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა (CPV 31531000);

2. *ხელშეკრულების ღირებულება და მიწოდების ადგილი*

2.1. ერთეული ნათურის ღირებულება შეადგენს 9.50 ლარს. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა მიმწოდებლისათვის დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 95.00 (ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და ნული თეთრი) ლარს.

საქონლის მიწოდება მოხდება ხელშეკრულების 1.1 პუნქტში აღნიშნულ დასახლებაში. მიმწოდებლის მაღაზიიდან ხელშეკრულების 1.1 პუნქტში აღნიშნულ ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით.

2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2017 წლის 04 სექტემბრიდან 2017 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით.

3 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად შესყიდვის ობიექტის გადაცემისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4 ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, ერედვის მუნიციპალიტეტის **წყალმომარაგების რეაბილიტაციისა და მომსახურების სააგენტოს ანგარიშიდან.**

5.2. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტი აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

ა) მიიღოს გამყიდველისგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი.

ბ) გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული თანხა.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ბ) თუ ,,ხელშეკრულების საგანს" აღმოაჩნდება ნაკლი, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ეს ნაკლი. ამ უკანასკნელის შეუძლებლობის შემთხვევაში კი მიმწოდებელი ვალდებულია დააბრუნოს შემსყიდველის მიერ გადახდილი თანხა.
გ) საქონლის მიწოდებისას გაითვალისწინოს შემსყიდველის მოტივირებული შენიშვნები, ინტერესები და წინადადებები.
დ) ხელშეკრულებით გათვალიწინებული–საქონლის მიწოდება განახორციელოს იმ წესით, პირობებით და დაწესებულ ვადებში, როგორც ეს შეთანხმებულია მხარეებს შორის.
6.4 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება-მოვალეობანი.

6 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1 მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2 თუ ხელშეკრულების ერთი მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს მას დამატებით ვადას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისათვის.
6.3 ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ დამატებით ვადაში ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.
6.4 ხელშეკრულების მხარეს, მის მიერ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 0.07 % პროცენტის ოდენობით.
6.5 თუ ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.
6.6 წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო შესაბამისად, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,07%-ის ოდენობით.

7 ფორს-მაჟორული სიტუაციები

7.1 მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.
7.2 თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

8 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაშია 2017 წლის 04 სექტემბრიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

9 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლსა და მისაწოდებელი საქონლის ექსპერტირებას განახორციელებს ერედვის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების რეაბილიტაციისა და მომსახურების სააგენტოს დირექტორი როლანდ ბერუაშვილი.

10 დავა და მისი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11 სხვა პირობები

11.1 საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. **მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი**

მიმწოდებელი: შპს „ახალი ნათება“ ს/კ 202066156 მის: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., №25ა საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი“ ბანკის კოდი: MIBGGE22 ანგარიშის №: GE74PC0053600100013179 ტელ.: თემური პოდოტელი ---------- ახალი ნათება LTD 202066156	შემსყიდველი: ერედვის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების რეაბილიტაციისა და მომსახურების სააგენტო ს/კ: 404486953 მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. № 89/24 საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის №: GE57BG0000000517623600GEL ტელ.: 551150645 დირექტორი: როლან ბერუაშვილი ---------- ერედვი 404486

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 04 სექტემბერი, 2017 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ ,,ერედვის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების რეაბილიტაციისა და მომსახურების სააგენტოს“ მიერ საგურამოს დევნილთა დასახლებისთვის 10 ცალი ეკო-ნათურის (TORNADO/TWISTER T3 23W/E27 CDL 865, PHILIPS 8727900926002 1954-8227-7152) შესყიდვის განხორციელებაში, რომლის მოწოდებას ახორციელებს **შპს „ახალი ნათება“** (ს/კ 202066156), ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ერედვის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების

რეაბილიტაციისა და მომსახურების სააგენტო

დირექტორი

როლან ბერუაშვილი